საგარანტიო დოკუმენტი

1. კომპანია **LightStudio** იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მოწოდებული პროდუქცია თავისუფალია წარმოების და/ან მასალის დეფექტებისგან იმ შემთხვევაში, თუ იგი გამოიყენება მისთვის განკუთვნილი მიზნის შესაბამისად. გარანტიის ვადაა **ოცდათექვსმეტი თვე მიწოდების დღიდან**.

2. გარანტია ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

   a) პროდუქცია გამოყენებულია ტექნიკური სპეციფიკაციებისა და მოხმარების ინსტრუქციების სრული დაცვით;
   b) პროდუქტი დამონტაჟებულია კვალიფიციური ტექნიკური პერსონალის მიერ ინსტრუქციების შესაბამისად;
   c) არ არის გადაჭარბებული ტემპერატურისა და ძაბვის ზღვრული მაჩვენებლები და პროდუქტი არ ექვემდებარება არამიზნობრივ მექანიკურ დატვირთვებს;
   d) გარე პირობებში დამონტაჟებული პროდუქტებისთვის:

      - ღამის მაქსიმალური ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 40°C-ს;
      - ღამის მინიმალური ტემპერატურა არ უნდა იყოს -20°C-ზე დაბალი, თუ ტექნიკურ დოკუმენტაციაში სხვა რამ არ არის მითითებული;
      - დღის მაქსიმალური ტემპერატურა გამორთული მდგომარეობისას არ უნდა აღემატებოდეს 60°C-ს;
      - პროდუქტი უნდა ჩაირთოს/გამორთოს ყოველდღიურად, გამოყენებულ იქნას საშუალოდ 4000 საათი წელიწადში და სრულად დაემორჩილოს ინსტალაციისა და ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნებს;

   e) ოთახის (შიდა) პირობების შემთხვევაში არარეკომენდებული ოთახის ტემპერატურული პირობები –15°C ქვემოთ ან 30°C ზემოთ;
   f) პროდუქტი უნდა ჩაირთოს/გამორთოს ყოველდღიურად;
   g) სანათში გამოყენებული ელექტრონული ბალასტები და ნათურები (განათების წყარო) უნდა შეესაბამებოდეს ერთმანეთს;
   h) პროდუქტის ტექნიკური მომსახურება (მონტაჟი/დემონტაჟი/გასწორება/განათების წყაროს შეცვლა) უნდა განხორციელდეს მხოლოდ პროფესიონალი ტექნიკური პერსონალის მიერ მწარმოებლის ინსტრუქციების შესაბამისად;
   i) ყველა სახის მოდიფიკაცია ან შეკეთება უნდა შესრულდეს მხოლოდ მომწოდებლის (**LightStudio)** წერილობითი ნებართვით;
   j) მომხმარებელმა/მყიდველმა უნდა განახორციელოს პირველადი შემოწმება, რომელიც აღწერილია პროდუქტის ინსტრუქციაში;
   k) დაზიანებული პროდუქტი უნდა შეინახოს ხელშეუხებელ მდგომარეობაში (მათ შორის განათების წყაროთი) მანამ, სანამ **LightStudio** შეამოწმებს მითითებულ დეფექტს;
   l) კვების ბლოკებისა და LED-სათავო პროდუქციისთვის გარანტია ვრცელდება მაქსიმუმ წლიურ ექსპლუატაციის ჭრილში 4000 საათზე (შეესაბამება დღეში 11 საათს). აღნიშნულ ფარგლებში გარანტია მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც დეფექტის მაჩვენებელი აღემატება 0.6%-ს ყოველ 1000 საათზე;
   m) სინათლის ნაკადის შემცირება, რომელიც არ აღემატება 30% არ არის საგარანტიო შემთხვევა;
   n) ელემენტების (ბატარეების) ბუნებრივი ცვეთა არ ექვემდებარება გარანტიის პირობებს;
   o) ვენტილატორების შემთხვევაში, ვენტილატორის მოტორზე ვრცელდება დამატებითი 10 წლიანი გარანტია;
   p) მომხმარებელი/მყიდველი წერილობით წარადგენს დეფექტის აღწერას და ფოტომტკიცებულებას, აღმოჩენიდან მაქსიმუმ 30 კალენდარული დღის ვადაში;
   q) პროდუქციის ფასი სრულად არის გადახდილი ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისად;
   r) წარმოდგენილია პროდუქტის შეძენის ინვოისი მომხმარებლის შემთხვევაში, ხოლო სხვა შემთხვევაში - ან ინვოისი, ან ზედნადები ან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

3. გარანტია **არ ვრცელდება**:

   a) დეფექტებზე, რომლებიც გამოწვეულია გაუთვალისწინებელი გარემოებებით ან ფორსმაჟორით (მაგალითად: მაღალი ძაბვა, ელვა, კოროზიული ან ქიმიურად აგრესიული გარემო, წყალდიდობა), რაც არ უკავშირდება წარმოების დეფექტს;
   b) ელექტროქსელის არასტაბილურობით (ძაბვის მერყეობა, გადატვირთვა, მაღალი ძაბვა) გამოწვეულ დაზიანებებზე.

4. იმ შემთხვევაში, თუ პროდუქტი ექვემდებარება გარანტიას და დაკმაყოფილებულია ზემოთ მოცემული პირობები (მე-2 და მე-3 პუნქტები), **LightStudio** საკუთარ შეხედულებით გადაწყვეტს პროდუქტის შეკეთებას ან ჩაანაცვლებს ანალოგიური ან ტექნოლოგიურად გაუმჯობესებული პროდუქტით.

5. გარანტია **არ მოიცავს**:

   a) დამატებით ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია სარემონტო სამუშაოებთან (მაგალითად: დემონტაჟი, მონტაჟი, ტრანსპორტირება, ყოველდღიური ხარჯები, აღჭურვილობის ან ხარაჩოების დაქირავება);
   b) ცვეთადი ნაწილების დაზიანებას: ნათურები (LED-ის გარდა), ბატარეები, მექანიკური ნაწილები, ვენტილატორები (LED-ის გაგრილების სისტემებში), პროგრამული შეცდომები, ვირუსები და სხვა პროგრამული გაუმართაობები;
   c) საღებავის დაზიანებას, რომელიც გამოწვეულია მიწასთან კონტაქტით, ქიმიური ნივთიერებებით, სასუქებით, კოროზიული აგენტებით ან მიწისქვეშა ელექტრული დენით.

6. მომხმარებელს/მყიდველს **არ აქვს უფლება** მოითხოვოს დამატებითი კომპენსაცია **LightStudio**-სგან, როგორიცაა:

   a) დაზიანებული პროდუქტის შენახვის ხარჯები;

   b) ფინანსური დანაკარგის ან ზიანის ანაზღაურება;

   c) გადახდის გადავადება;

   d) ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება.

7. **LightStudio** იტოვებს უფლებას ცვლილებების შეტანაზე გარანტიის პირობებში ნებისმიერ დროს. ყველა ცვლილება იმოქმედებს მხოლოდ იმ პროდუქტებზე, რომლებიც გაყიდულია ცვლილების ძალაში შესვლის შემდეგ.
8. დოკუმენტში აღწერილი პირობები რეგულირდება და განიმარტება **საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად**.